საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №20/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

-- --, -- -- და -- -- 2021 წლის 1 მარტის №20 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 75^6 მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 5 მარტის №66/20-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლისა და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 28 აპრილის №20/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსამართლე უსაფუძვლოდ აჭიანურებს სისხლის სამართლის საქმის არსებით განხილვას.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ 2017 წლის 3 მაისს, სისხლის სამართლის საქმე №1/1239-17 ბრალდებულების - -- --, -- --, -- -- და -- -- მიმართ, არსებითად განსახილველად გადაეცა -- -- სასამართლოს მოსამართლეს -- --.

სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ფარგლებში, პირველი სასამართლო სხდომა გაიმართა 2017 წლის 8 მაისს. სასამართლო სხდომაზე, მოსამართლემ განიხილა პროცესის მონაწილეთა აცილების საკითხები და წარდგენილი შუამდგომლობები, ბრალდებულებს გააცნო წარდგენილი ბრალდების არსი.

სასამართლო სხდომები გაიმართა შემდეგი თანმიმდევრობით:

1. 2017 წლის 15 მაისი - სასამართლომ განიხილა ბრალდებულების მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების - პატიმრობის ძალაში დატოვების საკითხი. სასამართლომ ადგილზე თათბირით

მიიღო განჩინება ბრალდებულების მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობის გირაოთი შეცვლის შესახებ. ბრალდებულები გათავისუფლდნენ სხდომათა დარბაზიდან.

2. 2017 წლის 19 მაისი - მხარეებმა სასამართლოს წარუდგინეს შესავალი სიტყვები;
3. 2017 წლის 9 ივნისი - სასამართლო სხდომაზე გაგრძელდა დაცვის მხარის შესავალი სიტყვა;
4. 2017 წლის 13 ივნისი - დასრულდა მხარეთა შესავალი სიტყვების მოსმენა. ასევე, სასამართლომ განიხილა მხარეთა რამოდენიმე შუამდგომლობა;
5. 2017 წლის 4 ივლისი - სასამართლო განიხილა და დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულთა მიმართა შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების გირაოს უძრავი ქონებით უზრუნველყოფით თაობაზე;
6. 2017 წლის 10 ივლისი - სასამართლო გადავიდა ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე. სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე (დაკითხვა ვერ დასრულდა);
7. 2017 წლის 13 ივლისი - გაგრძელდა და დასრულდა 2017 წლის 10 ივლისის სხდომაზე წარდგენილი მოწმის დაკითხვა;
8. 2017 წლის 15 სექტემბერი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
9. 2017 წლის 26 სექტემბერი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
10. 2017 წლის 3 ოქტომბერი - ბრალდებული -- -- ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სხდომა გადაიდო;
11. 2017 წლის 10 ოქტომბერი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
12. 2017 წლის 17 ოქტომბერი - ბრალდებულ -- -- ავადმყოფობის გამო, საქმის განხილვა გადაიდო და ჩაინიშნა 2017 წლის 24 ნოემბერს;
13. 2017 წლის 24 ნოემბერი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
14. 2017 წლის 8 დეკემბერი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
15. 2017 წლის 18 დეკემბერი - ბრალდებული -- -- ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე სხდომა გადაიდო;
16. 2017 წლის 25 დეკემბერი - დაცვის მხარის გამოუცხადებლობის გამო, სასამართლო სხდომა გადაიდო. სასამართლომ ბრალდებულ -- -- დაუნიშნა ადვოკატი სახელმწიფოს ხარჯზე. ამასთან, საქმის მოცულობიდან გამომდინარე (სს საქმე მოიცავს 70-ზე მეტ ტომს), საქმის გაცნობის მიზნით, სხდომა ჩანიშნა 2018 წლის 07 თებერვალს;
17. 2018 წლის 7 თებერვალი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
18. 2018 წლის 1 მარტი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
19. 2018 წლის 19 მარტი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
20. 2018 წლის 17 აპრილი - გაგრძელდა 2018 წლის 19 მარტის სხდომაზე წარდგენილი მოწმის დაკითხვა;
21. 2018 წლის 2 მაისი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 2 (ორი) მოწმე;
22. 2018 წლის 10 მაისი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
23. 2018 წლის 22 მაისი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 3 (სამი) მოწმე;
24. 2018 წლის 19 ივნისი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 3 (სამი) მოწმე;
25. 2018 წლის 26 ივნისი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 2 (ორი) მოწმე;
26. 2018 წლის 6 ივლისი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე;
27. 2018 წლის 16 ივლისი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 2 (ორი) მოწმე;
28. 2018 წლის 13 სექტემბერი - სასამართლომ განიხილა ბრალდებულის შუამდგომლობები მტკიცებულებათა დასაშვებობის თაობაზე.
29. 2018 წლის 24 სექტემბერი - სასამართლო სხდომაზე დაიკითხა 1 (ერთი) მოწმე.

მოსამართლე -- -- მიერ საქმის არსებითი განხილვა ასევე ჩაინიშნა და გაგრძელდა: 28.09.2018; 19.10.2018; 29.10.2018; 08.11.2018; 29.11.2018; 12.12.2018; 24.12.2018; 24.01.2019; 31.01.2019; 11.02.2019; 19.02.2019; 27.02.2019; 05.03.2019; 18.03.2019; 22.03.2019; 28.03.2019; 04.04.2019; 11.04.2019; 15.04.2019; 17.04.2019; 23.04.2019; 01.05.2019; 03.05.2019; 06.05.2019; 14.05.2019; 28.05.2019; 07.06.2019; 13.06.2019; 17.06.2019; 25.06.2019; 01.07.2019; 05.07.2019; 19.07.2019; 23.07.2019; 02.09.2019; 09.09.2019; 27.09.2019;

09.10.2019; 25.10.2019; 11.11.2019; 22.11.2019; 29.11.2019; 06.12.2019; 16.12.2019; 31.01.2020; 24.02.2020; 06.03.2020.

მოსამართლე -- -- -- სააპელაციო სასამართლოში გამწესების გამო, 2020 წლის 23 მარტიდან სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა სხვა მოსამართლეს.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 28 აპრილის დასკვნა:

-- --, -- -- და -- -- 2021 წლის 1 მარტის №20 საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად, არ იკვეთება მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ნიშნები.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს, საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა (სახდელი) დაეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ თავით დადგენილი წესით განხორციელებული დისციპლინური სამართალწარმოების შედეგად დადგინდება მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ ბრალეული ქმედების ჩადენისთვის, ანუ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ობიექტურად შეეძლო დისციპლინური გადაცდომის თავიდან ასაცილებლად სათანადო ქმედების განხორციელება, მაგრამ არ განუხორციელებია ის.[1]

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური გადაცდომის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა. ამავე ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმეთა სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო.

ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის შინაარსიდან და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, უნდა შეფასდეს გვაქვს თუ არა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

საპროცესო ვადის შესაძლო დარღვევასთან მიმართებაში აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო) იყენებს.

[1] იხ. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტი

შესაბამისად, საქმის განხილვის ვადების გონივრულობა უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო პრაქტიკით დადგენილი შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (Katte Klitsche de la Grande v. Italy, §55; Papachelas v. Greece, §39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (H. V. United Kingdom, §72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (Human v. Poland, §63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (Lupeni Greeck Catholic Parish and others v. Romania, §150);
2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (Koenig v. Germany, §103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (Acquaviva v. France, §61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას;
3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (Pafitis and others v. Greece, §93; Tiece v. San Marino, §31; Suermeli v. Germany, §129).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით (Frydlender v. France, §43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (König v. Germany, §98).

განსახილველ შემთხვევაში საჩივრის ავტორები მიუთითებენ, რომ მოსამართლემ ხელოვნურად აჭიანურებს საქმის არსებითი განხილვას. აღნიშნულთან მიმართებაში, საქმის სხვა ფაქტობრივ გარემოებებთან ერთად, საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანია შეფასდეს თუ რამდენად დაცულია საქმის არსებითი განხილვისთვის კანონმდებლობით დადგენილი ვადა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 185-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, „პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითად განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა“.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სისხლის სამართლის საქმე ბრალდებულების - --, -- --, -- -- და -- -- მიმართ 2017 წლის 3 მაისს არსებითად განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

დადგენილია, რომ მოსამართლეს სისხლის სამართლის საქმე წარმოებაში ჰქონდა 2020 წლის 23 მარტამდე. ვინაიდან, საქმის განხილვის სავარაუდო დასრულების დრო არ უნდა აღემატებოდეს 2019 წლის 3 მაისს. რაც ცალსახად მიუთითებს საპროცესო ვადის ფორმალურად დარღვევის ფაქტზე. თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში საპროცესო ვადის დარღვევის დისციპლინურ გადაცდომად მიჩნევამდე, მნიშვნელოვანია შეფასდეს ხომ არ არსებობდა ისეთი ობიექტური გარემოება, რომელიც გამორიცხავდა მოსამართლის მხრიდან საპროცესო ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევის ფაქტს.

კერძოდ, ყურადღება უნდა გამახვილდეს მოსამართლის ქმედებათა თანმიმდევრულობასა და სასამართლო სხდომების შორის არსებულ დროის ინტერვალებზე. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ცალსახად დგინდება, რომ 2017 წლის 3 მაისიდან - 2020 წლის 23 მარტამდე, მოსამართლე სისხლის სამართლის საქმეზე ჩაატარა 70-ზე მეტი სხდომა. აღსანიშნავია, რომ საშუალოდ, სს საქმეზე სასამართლო სხდომა ინიშნებოდა თვეში 2-ჯერ. ამასთან, გასათვალისწინებელია საქმის სირთულე. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმე შედგება 70-ზე მეტი ტომისგან, ფიგურირებს 20-ზე მეტი მოწმე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სს საქმე უნდა მივიჩნიოთ რთული კატეგორიის საქმედ.

ამრიგად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემულ შემთხვევაში საპროცესო ვადის დარღვევა გამოწვეული იყო ობიექტური გარემოებებით და მოსამართლე -- -- ქმედება არ შეიცავს დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დისციპლინურ საქმეზე მოკვლეული ფაქტობრივი/სამართლებრივი გარემოებებისა შეფასების საფუძველზე, დადასტურებულად არ მიიჩნია მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად, სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 10 წევრმა ხმა მისცა დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75^{12} მუხლის პირველი პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №20/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი